



# საბაკალავრო პროგრამა

## ეკონომიკა

თბილისი  
2011

1. საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება  
(ქართულად და ინგლისურად): ეკონომიკა  
Economics

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:  
(ქართულად და ინგლისურად): ეკონომიკის ბაკალავრი  
Bachelor of Economics

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი.

4. სწავლების ენა: ქართული

5. საბაკალავრო პროგრამის მიზანი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრების; საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის; ინოვაციური სწავლებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარების; აკადემიური თავისუფლების დაცვის; სტუდენტისა და პროფესორის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის; ცოდნის გენერირებისა და გადაცემის; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების; საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის განვითარების; თავისუფალი სამყაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების ღირსეული წევრობის მისაღწევად მიზნად ისახავს

ეკონომიკაში ინტეგრირებული, სისტემური, ფუნდამენტური თეორიული ცოდნის, დამოუკიდებელი აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც:

1) აქვთ ცოდნა ეკონომიკის სფეროში მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეებზე; ფლობენ ცოდნას ეროვნული შემოსავლის წარმოების, განაწილების და მოხმარების, აგრეთვე დანაზოგების, ინვესტიციების, სავალუტო კურსის, საგადასახდელო ბალანსის შესახებ. იციან და აცნობიერებენ შრომის, საქონლის, მომსახურების და ფინანსურ ბაზრებზე ფირმის და შინამეურნეობის ქცევაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობას. აქვთ ცოდნა საქონლის, წარმოების ფაქტორებისა და ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობის კანონზომიერებების, ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ. ფლობენ ცოდნას ეკონომიკაში რაოდენობრივი, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდებისა და მოდელების შესახებ;

2) გააჩნიათ შინამეურნეობის ქცევის, ფირმის საქმიანობის, ბაზრის ფუნქციონირების, ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერების და დასკვნის უნარი; შეუძლიათ ეკონომიკური ანალიზის პროცესში სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენება;

3) შეუძლიათ საკუთარი დასკვნების საჯარო წარდგენა, შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით მათი მკაფიო დასაბუთება;

4) ზოგად კომპეტენციასთან ერთად, გააჩნიათ სპეციალური ცოდნა და კომპეტენციები, რომლებსაც მიიღებენ შესაბამის მოდულებში (ეკონომიკური პოლიტიკა, მაკროეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა, მენეჯერული ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა, ეკონომიკური სტატისტიკა, შრომის ეკონომიკა) სწავლისას;

5) აქვთ ეკონომიკის ისეთი ცოდნა, რომელიც იძლევა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;

ქვეთ ცოდნა და უნარები, რომლებიც საშუალებას აძლევს დასაქმდეს როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო, კერძო და არასამთავრობო სექტორში, ეკონომისტებად, ეკონომიკურ მრჩეველებად, მკვლევარებად.

**6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებში, მათემატიკასა და უცხო ენაში.

**7. სწავლის შედეგები:**

ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი ენიჭება კურსდამთავრებულს, რომელსაც გააჩნია ზოგადი და დარგობრივი ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი შემდეგი მიმართულებებით:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

**ზოგადი კომპეტენცია:**

- ✓ კრიტიკულად გაიაზრებს საკითხებს;
- ✓ აქვს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების და ამ სისტემაში სხვა დარგების როლის შესახებ ცოდნა.

**დარგობრივი კომპეტენცია:**

- ✓ აქვს ეკონომიკის შესახებ ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებს და პრინციპებს მოთხოვნა-მიწოდების, ფასწარმოქმნის, სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების, ბაზრების ტიპების, მონოპოლიების, ოლიგოპოლიების, თავისუფალი კონკურენციის, მაკროეკონომიკური ინდიკატორების, ინფლაციის, ეკონომიკური ზრდის, უმუშევრობის, არასტაბილურობის შესახებ;
- ✓ იცის ეკონომიკის ძირითადი (საბაზო) ცნებები, პოსტულატები და კონცეფციები;
- ✓ იცის უცხო ენა, მინიმუმ B2 დონეზე;
- ✓ გააჩნია საბაზო ცოდნა ფუნდამენტურ და სპეციალურ ეკონომიკურ დისციპლინებში;
- ✓ იცის ინდივიდების, შინამეურნეობების, ფირმების, სახელმწიფოსა და საერთაშორისო სტრუქტურების მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები;
- ✓ იცის ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები და პოლიტიკის როლი ამ სისტემაში;
- ✓ იცის განსხვავებული ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირების თავისებურებები;
- ✓ გაცნობიერებული აქვს ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმი მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეებზე;
- ✓ შეუძლია თანამედროვე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესებისა გააზრება;
- ✓ გაცნობიერებული აქვს ეკონომიკური ზრდის პრობლემები და შესაძლებლობები; შეუძლია სათანადო მაგალითების მოყვანა;
- ✓ აცნობიერებებს გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებს და ძირითად კანონზომიერებებს, მათ დადებით და უარყოფით მხარეებს;
- ✓ ფლობს ეკონომიკური ანალიზისთვის აუცილებელ თვისებრივ, სტატისტიკურ და რაოდენობრივ მეთოდებს;
- ✓ ფლობს სათანადო თეორიული ეკონომიკური ცოდნის ბაზას პროფესიონალური უნარ-ჩვევების განვითარება-გაღრმავებისთვის;
- ✓ აქვს ცოდნა, რომელიც სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა.

## ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

### ზოგადი კომპეტენცია:

- ✓ კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- ✓ აქვს ტექნოლოგიური მოწყობილობების, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის უნარი, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი; შეუძლია იხელმძღვანელოს ინტერნეტის მონაცემთა ბაზებით;
- ✓ გააჩნია პრობლემის იდენტიფიცირების უნარი;
- ✓ ასაბუთებს და იცავს გადაწყვეტილების მიღების პრინციპებს;
- ✓ ადგენს დროით ჩარჩოებს დასახული მიზნის მისაღწევად;
- ✓ ანაწილებს შესასრულებელ სამუშაოს დაგეგმილ ვადებში;
- ✓ შეუძლია გარემოსთან ადაპტაცია;
- ✓ ახდენს საკუთარი დასკვნების საჯარო დემონსტრირებას, შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით მათ მკაფიო დასაბუთებას;
- ✓ შეუძლია საკითხის დასმა და მოსაზრებათა შეჯერებით საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბება;
- ✓ შეუძლია გუნდურად და დამოუკიდებლად მუშაობა.

### დარგობრივი კომპეტენცია:

- ✓ ეკონომიკურ არგუმენტებს და მეთოდებს იყენებს კონკრეტული ეკონომიკური პრობლემის შესასწავლად და გადასაჭრელად;
- ✓ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ახორციელებს კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის ეკონომიკურ პროექტებს;
- ✓ შეუძლია ეკონომიკური და სოციალური მონაცემების მოპოვება, თავმოყრა, დაჯგუფება, შერჩევა და შეფასება თეორიისა და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით და მათი მონიტორინგი;
- ✓ შეუძლია განსაზღვროს ეკონომიკური და სოციალური მონაცემების წყაროები და მათი მოპოვები ადგილი;
- ✓ ახორციელებს საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მოხმარების პროგნოზირებას, რომელიც ეყრდნობა ადრე შემუშავებულ და გამოყენებულ მონაცემებს და ზოგად ეკონომიკურ და დარგობრივ (წარმოების) სპეციფიკურ პირობებს;
- ✓ შეუძლია ფინანსური (როგორც ფირმის, ისე დარგისა და სახელმწიფოს დონეზე) მონაცემების დამუშავება, დანახარჯებისა და შემოსავლების ანალიზი;
- ✓ შეუძლია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე, საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის კურსების ანალიზი;
- ✓ შეუძლია იმ ფაქტორთა ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავენ სამუშაო ძალის მონაწილეობას, დასაქმებას, ხელფასებს, უმუშევრობას და სამუშაო ძალის ბაზრის ფუნქციონირების სხვა შედეგებს;
- ✓ შეუძლია მათემატიკურ ფორმულებისა და მეთოდების ეკონომიკურ ანალიზსა და პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღებაში გამოყენება;
- ✓ ეკონომიკის სფეროს შესაბამისი სპეციალური კომპეტენციის ფარგლებში ავლენს კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის უნარ-ჩვევებს;

- ✓ მითითების შესაბამისად ახორციელებს კვლევას, მონაცემთა მონიტორინგს, ინფორმაციის გაანალიზებას და ამზადებს ანგარიშს და გეგმას ეკონომიკური და ბიზნესპრობლემების გადასაწყვეტად;
- ✓ ეკონომიკური ქცევისა და ნიმუშების (მაგალითების) გაანალიზების, ახსნისა და პროგნოზირებისთვის შეუძლია ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენება;
- ✓ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკური რჩევებისა და პოლიტიკის ფორმულირებისა და შეფასებისას როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში;
- ✓ შეუძლია დინამიკურ ეკონომიკურ კონიუნქტურასთან ადაპტაცია;
- ✓ შეუძლია შეისწავლოს ცალკეული კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ✓ იყენებს თანამედროვე ტექნიკას და ტექნოლოგიებს როგორც სწავლის პროცესში, ისე შეხედულებების, მოსაზრებების გამოხატვისა და პრეზენტაციისთვის;

### **დასკვნის უნარი**

#### **ზოგადი კომპეტენცია:**

- ✓ ანალიზებს მონაცემებს და სიტუაციებს სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით;
- ✓ გააჩნია ლოგიკური/თანმიმდევრული აზროვნების უნარ-ჩვევები;
- ✓ აქვს მოვლენების სათანადო დონეზე გაგების, შესწავლისა და ახსნის შესაძლებლობა, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- ✓ შეუძლია დასკვნების გაკეთება და დასაბუთება.

#### **დარგობრივი კომპეტენცია:**

- ✓ შეუძლია სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების და ეკონომიკური სიტუაციის ეკონომიკური და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით შეფასება;
- ✓ შეუძლია დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- ✓ შეუძლია ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების, კონცეფციების და მოდელების შესახებ საკუთარი დასკვნების გაკეთება, მათი დასაბუთება სათანადო ცოდნითა და ლოგიკით როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან.
- ✓ გააჩნია ეკონომიკური მოვლენებისა და ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნების გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი და კომპეტენცია;
- ✓ შეუძლია კვლევის საგნის, შესაბამისი მეთოდების რანგირება დასკვნების გამოტანის მიზნით;
- ✓ შეუძლია იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების შეფასება, რომლებიც ეკონომიკას და ფინანსებს ეხება;
- ✓ შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს ეკონომიკური თეორიები და პრინციპები, ეკონომიკის მოდელები, მათი ანალიზის მეთოდების მახასიათებლები.

### **კომუნიკაციის უნარი**

#### **ზოგადი კომპეტენცია:**

- ✓ შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი და ზეპირი ანგარიშების მომზადება და გადასცემს ინფორმაციას სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს ზეპირად ქართულ და უცხოურ (ინგლისურ) ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

- ✓ წერილობით და ზეპირად გამოხატავს აზრს სხვადასხვა მოვლენისა და პროცესის შესახებ ეკონომიკური არგუმენტებით;
- ✓ არა მხოლოდ ეკონომისტებისთვის გასაგებად აყალიბებს ეკონომიკურ ინფორმაციას როგორც წერილობით, ისე ზეპირად ქართულ და უცხო (მ. შ. ინგლისურ) ენებზე;
- ✓ პრეზენტაციის პროცესში შეუძლია ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება.

**დარგობრივი კომპეტენცია:**

- ✓ გასაგებად აყალიბებს ეკონომიკურ მოსაზრებებს ეკონომისტებისთვის როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით ქართულ და უცხო ენებზე;
- ✓ შეუძლია თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების პრეზენტაციის, კამათის და შეჯამების პროცესში გამოყენება.
- ✓ შეუძლია ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების, კონცეფციების და მოდელების შესახებ საკუთარი დასკვნების საჯარო პრეზენტაცია, მათი მკაფიო დასაბუთება სათანადო ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან.

**სწავლის უნარი**

**ზოგადი კომპეტენცია:**

- ✓ აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს თანმიმდევრულად და მრავალმხრივად; ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს;
- ✓ შეუძლია საკითხების გამარტივება და შესაბამისობის შენარჩუნება;
- ✓ შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა;
- ✓ ცოდნის გადამუშავებისა და წარმოჩენის პროცესში ავლენს სათანადო აზროვნების, მეხსიერების, აღქმის და მეტყველების უნარებს (კოგნიტურ უნარებს);
- ✓ შეძენილი ცოდნის ბაზაზე შეუძლია ევრისტიკული სტრატეგიის გამოყენება – შემოკლებული გზა რთული ამოცანის გადასაჭრელად;
- ✓ შეძენილი ცოდნის ბაზაზე პრობლემების (როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული) გადაჭრისას შეუძლია ანალოგიურ სიტუაციაში მიღებული გადაწყვეტილების გახსენება.

**დარგობრივი კომპეტენცია:**

- ✓ ეკონომიკური პრობლემების შესწავლისას შეუძლია ალტერნატიული მიდგომების გამოყენება შეზღუდვებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- ✓ აქვს უნარი, დასვას კონკრეტული ეკონომიკური საკითხი (პრობლემა) და განახორციელოს გამოკვლევა;
- ✓ იცის და იყენებს კვლევის სათანადო მეთოდებს;
- ✓ შეუძლია კვლევიდან შესაბამისი დასკვნის გამოტანა;
- ✓ აყალიბებს დასკვნებს, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს შემდგომი კვლევის სფეროებს;
- ✓ იცის, როგორ გამოიყენოს ეკონომიკური პრინციპები და მოდელები, კომპლექსური სისტემის ძირითადი მახასიათებლები სწავლის პროცესში;
- ✓ შეუძლია ეკონომიკური ცოდნის ბაზაზე შეაფასოს საჯარო გადაწყვეტილებების ეკონომიკური ეფექტიანობა;
- ✓ შესწავლილი ეკონომიკური საკითხების ბაზაზე იღებს სათანადო საფუძველს ეკონომიკური ცოდნის შემდგომი გაღრმავებისათვის;
- ✓ შეძენილი ეკონომიკური ცოდნის საფუძველზე მომზადებულია სათანადო პრაქტიკული ქცევისათვის.

## **ღირებულებები**

### **ზოგადი კომპეტენცია:**

- ✓ შეუძლია ღირებულებების ფორმირებისა და მათი დამკვიდრების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- ✓ აქვს ინტერპერსონალური ურთიერთობების, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის უნარი.

### **დარგობრივი კომპეტენცია:**

- ✓ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა საბაზრო ეკონომიკის (ღირებულებების) და ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში მონაწილეობის შესახებ;
- ✓ ეკონომიკური საკითხების განხილვისას აქვს ინტერპერსონალური ურთიერთობების, ჯგუფური მუშაობის, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის უნარი;
- ✓ შეუძლია პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილების შეფასება;
- ✓ ავითარებს გარემოსადმი დამოკიდებულებას და ხედვას მდგრადი განვითარებისადმი;
- ✓ იცის, რას მიაჩნის უპირატესობა სამუშაოს მოძიებისა და მუშაობისას;
- ✓ შეუძლია შეაფასოს რესურსების ეკონომიური გამოყენება;
- ✓ შეუძლია შეაფასოს ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის დინამიკა;
- ✓ აქვს შეხედულებები საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობაზე;
- ✓ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა სახელმწიფოს როლის შესახებ ადამიანის კეთილდღეობის უზრუნველყოფაში;
- ✓ აქვს გარკვეული ხედვა შემოსავლების განაწილების უთანაბრობის შესახებ;
- ✓ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა სიღარიბის შესახებ;
- ✓ შეუძლია შეაფასოს სიღარიბის დამლევის საერთაშორისო, სახელმწიფო და სხვა პროგრამები;
- ✓ აქვს შეხედულებები პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების როლზე;
- ✓ შეუძლია თვითშეფასება.

## **მოდულების შედეგები**

შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის საპილოტე შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბაზარზე მაღალია ეკონომისტებზე მოთხოვნა, რომლებსაც კონცენტრირებული ცოდნა აქვთ ეკონომიკის კონკრეტული მიმართულებით. ამ მიზნით ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ბაკალავრების მომზადებას მოდულებში, რომლებშიც 25 კრედიტის ფარგლებში ხდება ეკონომიკის გარკვეული მიმართულებით ცოდნისა და უნარების დაუფლება. ასეთი მოდულების კურსდამთავრებულები, გარდა საბაკალავრო პროგრამის ზოგადი შედეგებისა, დამატებით მიიღებენ დარგობრივ ცოდნასა და პრაქტიკაში გამოყენების უნარს შემდეგი მიმართულებებით:

### **მოდული „ეკონომიკური პოლიტიკა“**

#### **ცოდნა და გაცნობიერება**

#### **დარგობრივი კომპეტენცია**

- ✓ აქვს ცოდნა ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებების მიზეზების შესახებ;
- ✓ აქვს ცოდნა ეკონომიკურ პოლიტიკაზე მოქმედ ფაქტორთა ზემოქმედების შესახებ;
- ✓ აქვს ცოდნა გამოთვალოს ამ გავლენის რაოდენობრივი შედეგები;
- ✓ იცის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი თეორიები;

- ✓ იცის ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის მეთოდების შერჩევა;
- ✓ იცის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თეორიული საფუძვლები, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებები განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ სახელმწიფოებში, მ.შ. ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში;
- ✓ იცის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ფუნქციონირების თავისებურებები და გაცნობიერებული აქვს მათი მნიშვნელობა;
- ✓ აცნობიერებს ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის როლს.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

**დარგობრივი კომპეტენცია**

- ✓ გააჩნია ეკონომიკური პოლიტიკის ინდიკატორების ანალიზის უნარი;
- ✓ შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება ეკონომიკური პოლიტიკის პროგნოზირების პროცესში;
- ✓ შეუძლია ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების და პროცესების ანალიზი სახელმწიფოს დონეზე;
- ✓ შესაბამისი მონაცემების არსებობის პირობებში შეუძლია ჩამოაყალიბოს ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების თვისებრივი და რაოდენობრივი შეფასებები;
- ✓ ეკონომიკური პოლიტიკის მოდელების გამოყენებით შეუძლია განსაზღვროს და ერთმანეთს დაუკავშიროს ეკონომიკის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივები;
- ✓ შეუძლია გამოკვეთოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები;
- ✓ შეუძლია სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების, ხარჯების და დეფიციტის პოლიტიკის პროგნოზირება;
- ✓ შეუძლია პოლიტიკური და სხვა ფაქტორების ზეგავლენის გაანალიზება ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობაზე;
- ✓ შეუძლია განსაზღვროს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად სავარაუდოდ მისაღები ეფექტები.
- ✓ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

**დასკვნის უნარი**

**დარგობრივი კომპეტენცია**

- ✓ შეუძლია განსაზღვროს ფაქტორთა ცვლილებების მასტიმულირებელი გარემოებები და გამოარჩიოს მათ შორის პოზიტიური;
- ✓ შეუძლია ანალიზის საფუძველზე გამოაცალკევოს ეკონომიკური პოლიტიკის დინამიკის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები;
- ✓ შეუძლია ეკონომიკური ოპტიმალური ვარიანტის დასაბუთება; მოვლენების პრაქტიკული შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.
- ✓ შეუძლია კომბინირებული ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტის შედეგების შედარება; არსებული ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკა ან მისი სისწორის დაცვა;
- ✓ გააჩნია ეკონომიკური პოლიტიკის მოვლენებისა და ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნების გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი და კომპეტენცია.



## მოდული „მაკროეკონომიკა“

### ცოდნა და გაცნობიერება

#### დარგობრივი კომპეტენცია

- ✓ აქვს ცოდნა თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების, აგრეთვე ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო რეგულირების შესახებ;
- ✓ აქვს ცოდნა ეკონომიკური ზრდის მოდელებისა და თეორიების, ეკონომიკური ზრდის ფაქტორების შესახებ;
- ✓ იცის ეკონომიკური განვითარების ძირითადი თეორიები, ეკონომიკური ზრდის თავისებურებები, უმუშევრობის, ინფლაციისა და საგარეო ვალის წარმოქმნის მიზეზები და აცნობიერებს მათ შესაძლო შედეგებს;
- ✓ იცის პროგნოზირების თეორიული საფუძვლები, მაკროეკონომიკური პროგნოზირების ძირითადი თეორიები, მეთოდური საფუძვლები;
- ✓ აქვს ცოდნა გადასახადების, სახელმწიფო ხარჯების და ბიუჯეტის დეფიციტის მაკროეკონომიკური ზეგავლენის შესახებ;
- ✓ იცის პროგნოზირების სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის (Stata, Eviews) საფუძვლები;
- ✓ იცის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თეორიული საფუძვლები, მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებები განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ სახელმწიფოებში, მ.შ. ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში;
- ✓ აქვს ცოდნა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების არაეკონომიკურ ფაქტორების შესახებ;
- ✓ იცის ფისკალური და მონეტარული სისტემების ფუნქციონირების თავისებურებები და გაცნობიერებული აქვს მათი მაკროეკონომიკური მნიშვნელობა;
- ✓ აცნობიერებს ეკონომიკაში სახელმწიფოს როლს.

#### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

#### დარგობრივი კომპეტენცია

- ✓ გააჩნია მაკროეკონომიკური ინდიკატორების ანალიზის უნარი;
- ✓ შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება პროგნოზირების პროცესში;
- ✓ შეუძლია ეკონომიკური პრობლემების და პროცესების ანალიზი სახელმწიფო დონეზე;
- ✓ შესაბამისი მონაცემების არსებობის პირობებში შეუძლია ინფლაციის, უმუშევრობის, ეკონომიკური ზრდის და სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრების გაანგარიშება;
- ✓ შეუძლია სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების, ხარჯების და დეფიციტის პროგნოზირება;
- ✓ შეუძლია პოლიტიკური და სხვა ფაქტორების ზეგავლენის გაანალიზება ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობაზე;
- ✓ შეუძლია ბიზნესგარემოს მაკროეკონომიკური ანალიზი;
- ✓ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკური განვითარების მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებაში.

#### დასკვნის უნარი

#### დარგობრივი კომპეტენცია

- ✓ შეუძლია მაკროეკონომიკური ინდიკატორების ანალიზი და მიღებული შედეგების დასაბუთება;
- ✓ შეუძლია მაკროეკონომიკური სიტუაციის შეფასება და მიღებული შედეგების დასაბუთება;

- ✓ გააჩნია მაკროეკონომიკური მოვლენებისა და ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნების გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი და კომპეტენცია;
- ✓ შეუძლია შეაფასოს ის პოლიტიკური გადაწყვეტილებებს, რაც ეხება მაკროეკონომიკურ გარემოს.

### მოდული „საერთაშორისო ეკონომიკა“

#### დარგობრივი კომპეტენციები:

##### ცოდნა და გაცნობიერება:

- ✓ იცის საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ფუნქციონირების თავისებურებები და მათი მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის ინტეგრირების ოპტიმალური პოლიტიკის განსაზღვრაში;
- ✓ ფლობს ცოდნას ქვეყანათაშორისი ეკონომიკური ინტეგრაციული დაჯგუფებებისა და მათი როლის შესახებ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში;
- ✓ იცის მოსახლეობის მსოფლიო განთავსების თავისებურებები, მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე;
- ✓ იცის ინვესტიციების საერთაშორისო მიგრაციის თავისებურებები და გაცნობიერებული აქვს ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი და მნიშვნელობა ამ პროცესში;
- ✓ ფლობს ცოდნას საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთბების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

##### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ✓ შეუძლია საგადასახდელო ბალანსის ანგარიშების გაანალიზება;
- ✓ შეუძლია კაპიტალის საერთაშორისო ბაზრის ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასება;
- ✓ აქვს საერთაშორისო ეკონომიკის პრობლემებში თავისუფლად ორიენტირების უნარი;
- ✓ შეუძლია ღია ეკონომიკის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- ✓ შეუძლია სხვადასხვა ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი;
- ✓ შეუძლია მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- ✓ შეუძლია საერთაშორისო ეკონომიკის შესახებ ინფორმაციის მოძიება, დაჯგუფება, შერჩევა და შეფასება;
- ✓ შეუძლია საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ქვეყნის თანამშრომლობის ეფექტიანობის შეფასება;
- ✓ შეუძლია ცოდნის დემონსტრირება საერთაშორისო ორგანიზებთან, საერთაშორისო ინტეგრაციულ დაჯგუფებებთან, ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან, ეკონომიკურ განვითარებაზე მოსახლეობის რიცხოვნობისა და განთავსების გავლენასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და შეფასებისას.

##### დასკვნის უნარი

- ✓ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობის, საერთაშორისო ინტეგრაციული დაჯგუფებების, მოსახლეობისა და მსოფლიო ეკონომიკის, ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების დასმისა და არგუმენტურებული პასუხის გაცემის უნარი;

- ✓ საქართველოს საგარეო ვაჭრობის, საერთაშორისო საინვესტიციო ნაკადებში საქართველოს ჩართულობის, საქართველოს საგარეო დავალიანების პრობლემის, შრომითი მიგრაციის პრობლემის ანალიზის და არსებული მდგომარეობის შეფასების უნარი;
- ✓ აქვს საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების დასმისა და არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი;
- ✓ შეუძლია საერთაშორისო ეკონომიკაზე მოქმედი ფაქტორების გაცნობიერება-განალიზება;
- ✓ გააჩნია საერთაშორისო ეკონომიკის ტენდენციების ანალიზის უნარი, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნების გაკეთების უნარი;
- ✓ აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის ანალიზისა და შეფასების უნარი;
- ✓ აქვს საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო ინტეგრაციული დაჯგუფებების, მოსახლეობისა და მსოფლიო ეკონომიკის, ტრანსნაციონალური კორპორაციების, საერთაშორისო ინვესტიციების, საქართველოს საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული უცხოური ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენების და კრიტიკული შეფასების, შესაბამისი მასალის კომენტირების უნარი;
- ✓ შეუძლია ორიგინალური აზროვნება.

### **კომუნიკაციის უნარი**

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეიძენს:

- ✓ საერთაშორისო ეკონომიკის ამსახველი მასალის ზუსტად გადმოცემის უნარს;
- ✓ განუვითარდება ინტერნეტ-რესურსების გამოყენების უნარ-ჩვევები;
- ✓ საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების უნარს; ინფორმაციის მოძიების, დახარისხების უნარს;
- ✓ გამოუმუშავდება სამეცნიერო (შესაბამისად დარგობრივი) ტერმინოლოგიით მსჯელობის და პრეზენტაციის უნარი.

### **სწავლის უნარი**

- ✓ ავითარებს დამოუკიდებლად სწავლის უნარს;
- ✓ კრიტიკულად გაიაზრებს ზენაციონალური ინსტიტუტების საქმიანობას და საერთაშორისო ეკონომიკის ფუნქციონირების თანამედროვე მიმართულებებს;
- ✓ შეუძლია მიღებული ცოდნის საფუძველზე საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება;
- ✓ შეუძლია მიღებული ცოდნის ბაზაზე შემდეგ ეტაპზე სწავლის გაგრძელების დაგეგმვა ეკონომიკის მიმართულებით.

### **ღირებულებები**

- ✓ აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი შეხედულება მსოფლიო ეკონომიკაში საბაზრო ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნის ინტეგრაციის შესახებ;
- ✓ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ;
- ✓ შეუძლია შეაფასოს საკუთარი და სხვისი აზრი (შეხედულება) ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შესახებ;
- ✓ შეუძლია საგნის შესწავლით შეძენილი ცოდნის საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ახალი ღირებულებების ჩამოყალიბებაში;
- ✓ აყალიბებს და ავითარებს შეხედულებას სხვისი აზრის პატივისცემის აუცილებლობის შესახებ;
- ✓ შეუძლია შეაფასოს საკუთარი და სხვისი უპირატესობები სამუშაოს მოძიებისას.

## მოდული „მენეჯერული ეკონომიკა“

### ცოდნა და გაცნობიერება

#### დარგობრივი კომპეტენცია

- ✓ აქვს ცოდნა მიკროეკონომიკური მეთოდოლოგიის: მოდელების, თეორიების, მეთოდების, გრაფიკების, პოზიტიური და ნორმატიული ანალიზის შესახებ;
- ✓ იცის მიკროეკონომიკური კონცეფციების ანალიზი მათემატიკური აპარატის გამოყენებით;
- ✓ იცის მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიკურობის კანონზომიერებებისა და სპეციფიკურობის შესახებ, შეუძლია ელასტიკურობის თეორიის პრაქტიკული მნიშვნელობის ახსნა;
- ✓ იცის რისკების შეფასება და მიკროეკონომიკაში სარისკო გადაწყვეტილებების ტექნიკის გამოყენება;
- ✓ იცის წარმოებისა და დანახარჯების თეორიების შესახებ, შეუძლია მათი ურთიერთდაკავშირება და რეალობასთან მისადაგება;
- ✓ აქვს ცოდნა სახელმწიფო პოლიტიკით გამოწვეული სარგებლისა და ზარალის შეფასების მეთოდების შესახებ;
- ✓ იცის ეკონომიკური ცხოვრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოვლენების ანალიზის პრინციპები და შეფასების ძირითადი ტექნიკა;
- ✓ იცის კონკურენტულ და არაკონკურენტულ ბაზარზე მოგების მაქსიმიზაციის ძირითადი პირობა და შეუძლია ბაზრების სტატიკური ანალიზის ჩატარება;
- ✓ იცის ფასწარმოქმნის ძირითადი პრინციპების შესახებ, შეუძლია პირველი, მეორე და მესამე ხარისხის საფასო დისკრიმინაციის პრაქტიკული მნიშვნელობის ახსნა;
- ✓ იცის საწარმოო ფაქტორთა დანახარჯების მინიმიზაციის წესების შესახებ.

#### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

#### დარგობრივი კომპეტენცია

- ✓ გააჩნია მიკროეკონომიკის თეორიული საკითხების დამუშავების, ძირითადი შინაარსის აკუმულირებისა და წერილობითი/ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარი;
- ✓ შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება მიკროეკონომიკური პროგნოზირების პროცესში;
- ✓ შეუძლია მიკროეკონომიკური პრობლემების შეფასება ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით;
- ✓ შესაბამისი მონაცემების არსებობის პირობებში შეუძლია პირველი, მეორე და მესამე ხარისხის საფასო დისკრიმინაციის დროს ნამეტის მიღების პირობების შეფასება, მიმდინარე დისკონტირებული და წმინდა მიმდინარე ღირებულების განსაზღვრა, წარმოებისა და ეფექტიანი გაცვლის შეფასება ეჯვორტის კოლოფის საშუალებით და სხვა მიკროეკონომიკური პარამეტრების გაანგარიშება;
- ✓ გააჩნია მოვლენების პრაქტიკული შეფასებისა და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

#### დასკვნის უნარი

#### დარგობრივი კომპეტენცია

- ✓ შეუძლია მიკროეკონომიკური ანალიზის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენება და მიღებული შედეგების დასაბუთება;
- ✓ შეუძლია მიკროეკონომიკური სიტუაციის შეფასება და მიღებული შედეგების დასაბუთება;
- ✓ გააჩნია მიკროეკონომიკური მოვლენებისა და ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნების გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი და კომპეტენცია.

## მოდული „ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა“

### ცოდნა და გაცნობიერება

#### დარგობრივი კომპეტენცია

- ✓ ფლობს ცოდნას კომპლექსური რიცხვების, ამოზნექილი სიმრავლეებისა და ფუნქციების და მრავალი ცვლადის ფუნქციის, უპირობო და პირობითი ექსტრემუმის მოძებნის მეთოდების, ორჯერად ინტეგრალების, დიფერენციალურ განტოლებების, მათი ამოხსნის მეთოდების და გამოყენების ზოგიერთი მიმართულების შესახებ.
- ✓ იცის მათემატიკური პროგრამირების ამოცანაზე დაყვანადი ეკონომიკური ამოცანების ძირითადი ტიპები, დაუფლებულია მათემატიკურ აპარატს, რაზეც დაფუძნებულია წრფივი და მთელრიცხვა პროგრამირების ამოცანები;
- ✓ ფლობს ცოდნას წრფივი პროგრამირების ამოცანის დასმის, ამონახსნების თვისებების, დასაშვები, საყრდენი და ოპტიმალური ამონახსნების მოძებნის მეთოდების შესახებ, მათ შორის, სიმპლექსური მეთოდის და მისი განსაკუთრებული შემთხვევების შესახებ;
- ✓ იცის წრფივი მათემატიკური პროგრამირების პირდაპირი და ორადული ამოცანების აგება და გამოყენება ეკონომიკურ ანალიზში;
- ✓ იცნობს ტრანსპორტის ამოცანებს, მათი ამოხსნის მეთოდებს და შესაძლო გამოყენების მიმართულებებებს ეკონომიკაში;
- ✓ აქვს ცოდნა ეკონომიკურ ამოცანებზე, რომლებიც დაიყვანება მთელრიცხვა პროგრამირების ამოცანაზე; მათი ამოხსნის ძირითად მეთოდებსა და გამოყენების მიმართულებებზე;
- ✓ გაცნობიერებული აქვს მათემატიკური მოდელირების - კვლევის უნივერსალური მეთოდის - მნიშვნელობა ეკონომიკური კანონზომიერების შეცნობაში; იცის ეკონომიკური ამოცანების მათემატიკური ფორმალიზების პრინციპები და წესები, დაუფლებულია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების ტექნოლოგიას;
- ✓ აქვს ცოდნა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის (საწარმოო ფუნქცია, მომხმარებელთა ქცევის მოდელი, ფირმებისა და დარგების ქცევის მოდელები, მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელები, დარგთაშორისი კავშირების მოდელები) შესახებ, რომლის საშუალებით ხორციელდება ეკონომიკური სისტემის და მისი სტრუქტურული შემადგენლების გამოკვლევა მიკრო და მაკრო დონეებზე.
- ✓ იცნობს სპეციალურ პროგრამულ პაკეტებს, რომელთა საშუალებით ხორციელდება წრფივი და მთელრიცხვა პროგრამირების ამოცანების, აგრეთვე, ეკონომეტრიკული და სხვა ტიპის ამოცანებისა და მოდელების რეალიზაცია;
- ✓ გაცნობიერებული აქვს თამაშთა თეორიის მნიშვნელობა ეკონომიკური კანონზომიერების შეცნობაში, იცნობს თამაშების ძირითადი სახეებს, რომლებიც ესადაგება ეკონომიკური სუბიექტების ქცევის წესებს;
- ✓ იცნობს სტატიკური და დინამიკური თამაშების მოდელებს, როგორც სრული, ასევე არასრული ინფორმაციის პირობებში;
- ✓ ფლობს ცოდნას ზოგიერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შესახებ, რომლის საშუალებით ხორციელდება არასრულყოფილ ბაზრებში მოქმედი ფირმების ქცევის გამოკვლევა.

## **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

### **დარგობრივი კომპეტენცია**

- ✓ შეუძლია მოდელირების მეთოდის გამოყენებით ეკონომიკური კანონზომიერებების შეცნობა და გადაწყვეტილების მიღება;
- ✓ შეუძლია მიკროეკონომიკური ობიექტების დონეზე მიზნის ჩამოყალიბება, შეზღუდვების გამოყოფა, გადაწყვეტილებათა სიმრავლის განსაზღვრა და ოპტიმალური გადაწყვეტილების შერჩევა;
- ✓ შეუძლია ეკონომიკის რიგი რეალური ამცანების შესაბამისი მათემატიკური მოდელის (ოპტიმიზაციური, ეკონომეტრიკული, საბალანსო, წონასწორული) აგება, მათემატიკური გამოკვლევა, მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია და შესაბამისი დასკვნების გაკეთება;
- ✓ შეუძლია ცალკეული ეკონომიკური სიტუაციებისათვის თამაშების ტექნოლოგიის მისადაგება, რაც გადაწყვეტილების მიღებას მნიშვნელოვნად გაუადვილებს;
- ✓ შეუძლია განახორციელოს ანალიზური და საპროგნოზო გაანგარიშებები ეკონომიკურ-მათემატიკური, მათ შორის ეკონომეტრიკული, მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით მიკრო და მაკრო დონეზე;
- ✓ შეუძლია აგებული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების რეალიზაცია ეკონომეტრიკული პროგრამული პაკეტების, პირველ რიგში, Excel-ის პაკეტების გამოყენებით;
- ✓ შეუძლია საკმარისად მაღალი სირთულის ეკონომიკური ლიტერატურის დამუშავება, გაგება და გააზრება;
- ✓ შეუძლია კონკრეტულ ეკონომიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით რეფერატის მომზადება და პრეზენტაცია.

### **დასკვნის უნარი**

#### **დარგობრივი კომპეტენცია**

გააჩნია კვლევის საგნისა და მისი შესაბამისი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების და მეთოდების რანგირების უნარი. ამის გათვალისწინებით შეუძლია სოციალურ-ეკონომიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და რაოდენობრივი მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით შეაფასოს და გამოიკვლიოს გარკვეული სირთულის ეკონომიკური სიტუაციები, მოვლენები და ტენდენციები და გამოიტანოს შესაბამისად დასაბუთებული დასკვნები.

#### **კომუნიკაციის უნარი**

#### **დარგობრივი კომპეტენცია**

შეუძლია გამოიყენოს თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგიები (კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი) ეკონომიკური მოვლენების შესწავლის პროცესში, შეხედულებების, მოსაზრებების გამოხატვისა და პრეზენტაციისთვის.

#### **სწავლის უნარი**

#### **დარგობრივი კომპეტენცია**

- ✓ მიღებული ცოდნა საშუალებას აძლევს წარმატებით აითვისოს მნიშვნელოვანი სირთულის ეკონომიკური და ეკონომიკურ-მათემატიკური ტიპის დისციპლინები;
- ✓ შეუძლია ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის დაგეგმვა და გაგრძელება.

## მოდული „ეკონომიკური სტატისტიკა“

### ცოდნა და გაცნობიერება

#### დარგობრივი კომპეტენციები

- ✓ აქვს ცოდნა საბაზრო ეკონომიკის, სოციალური და ბიზნესპროცესების ამსახველი სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების თეორიასა და მეთოდოლოგიაში;
- ✓ აქვს ცოდნა ოფიციალური სტატისტიკის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში;
- ✓ იცის საბაზრო ეკონომიკის, სოციალური და ბიზნესპროცესების სტატისტიკური ანალიზის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები;
- ✓ აქვს ცოდნა საერთაშორისო და რეგიონული სტატისტიკური ორგანიზაციების როლის, მნიშვნელობისა და ძირითადი ფუნქციების შესახებ;
- ✓ იცის საბაზრო ეკონომიკის, სოციალური და ბიზნესპროცესების განვითარების ძირითადი ტენდენციების დადგენის სტატისტიკური მეთოდიკა;
- ✓ აქვს ცოდნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ზოგადი სტრუქტურისა და მისი აგების პრინციპებში;
- ✓ იცის ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის გაანგარიშების მეთოდიკა;
- ✓ იცის ფასების, ინფლაციის, დასაქმებისა და უმუშევრობის, სიღარიბის დონისა და დინამიკის, ბაზრის კონიუნქტურის და სხვა აგრეგატული მაჩვენებლების გაანგარიშების სტატისტიკური მეთოდოლოგია;
- ✓ იცის საბაზრო ეკონომიკის, სოციალური და ბიზნესპროცესების ამსახველი სტატისტიკური მონაცემების მონიტორინგის მეთოდიკა;
- ✓ აქვს ცოდნა საბაზრო ეკონომიკის, სოციალური და ბიზნეს პროცესების განვითარების შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევების განხორციელების მეთოდოლოგიაში;
- ✓ აქვს ცოდნა საბაზრო ეკონომიკის, სოციალური და ბიზნეს პროცესების მრავალმხრივი ურთიერთკავშირების ფორმისა და ინტენსივობის დადგენისა და ანალიზის სტატისტიკურ მეთოდოლოგიაში.

#### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

#### დარგობრივი კომპეტენციები

- ✓ შეუძლია ნებისმიერი ეკონომიკური, სოციალური და ბიზნესპროცესების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება;
- ✓ შეუძლია საბაზრო ეკონომიკის, სოციალური და ბიზნესპროცესების სტატისტიკური ანალიზი და მათი ცვლილების ტენდენციების გამოვლენა;
- ✓ შეუძლია ეკონომიკური, სოციალური და ბიზნესპროცესების დონისა და დინამიკის სწორი ინტერპრეტაცია და მათი კომპაქტური გრაფიკული გამოსახვა;
- ✓ შეუძლია მაკრო და მიკროეკონომიკური, სოციალური და ბიზნესპროცესების განვითარების დონისა და დინამიკის ამსახველი შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება;
- ✓ შეუძლია ეკონომიკური, სოციალური და ბიზნესპროცესების განვითარების შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება და ადეკვატური მონაცემების მიღება;
- ✓ შეუძლია ეკონომიკური, სოციალური და ბიზნეს პროცესების ამსახველი არასრული სტატისტიკური მონაცემების შევსება იმპუტაციის ხერხების გამოყენებით;

✓ შეუძლია პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგების რაოდენობრივი შეფასება სტატისტიკური მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით;

✓ შეუძლია ეკონომიკური, სოციალური და ბიზნესპროცესების ამსახველი სტატისტიკური მონაცემების სისრულის, ხარისხისა და საიმედოობის მონიტორინგი.

### **დასკვნის უნარი**

#### **დარგობრივი კომპეტენციები**

✓ სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე შეუძლია დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება ეკონომიკური, სოციალური და ბიზნესპროცესების განვითარების შესახებ;

✓ აყალიბებს დასკვნებს ეკონომიკურ, სოციალურ და ბიზნესგარემოზე სხვადასხვა ფაქტორის რაოდენობრივი ზემოქმედების სიდიდის შესახებ;

✓ აყალიბებს დასკვნებს საბაზრო ურთიერთობების პირობებში მიღებული გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგების სტატისტიკური შეფასების საფუძველზე ოპტიმალური ბიზნესსტრატეგიის შესახებ;

✓ შეუძლია ჩამოყალიბოს დასაბუთებული დასკვნა ეკონომიკური, სოციალური და ბიზნესპროცესების განვითარების რეალური ტენდენციების დასადგენად ადეკვატური მეთოდების გამოყენების შესახებ;

✓ შეუძლია ჩამოყალიბოს დასაბუთებული დასკვნა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და გადახდისუნარიანობის ხარისხზე საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე;

✓ საერთაშორისო სტატისტიკური შედარებების საფუძველზე შეუძლია ჩამოყალიბოს დასაბუთებული დასკვნა ქვეყნის ადგილის შესახებ მსოფლიო ეკონომიკურ და ბიზნეს რეიტინგებში.

### **მოდული „შრომის ეკონომიკა“**

#### **ცოდნა და გაცნობიერება**

#### **დარგობრივი კომპეტენცია**

✓ იცის შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების ძირითადი კანონზომიერებები და კონკრეტული მექანიზმები;

✓ იცის სოციალური პოლიტიკის, მათ შორის, შრომის ბაზარზე სოციალური დაცვის პოლიტიკის პრინციპები და მოდელები. კარგად იცნობს ამ მხრივ თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკას;

✓ ფლობს შესაბამის ეკონომიკურ-სტატისტიკურ აპარატს, რითაც შეუძლია, გამოავლინოს უმუშევრობის გამომწვევი კონკრეტული მიზეზები და შეაფასოს ნეგატიური სოციალური შედეგები.

✓ იცის ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული ვითარებისა და მოსახლეობის ბუნებრივი და სივრცობრივი მოძრაობის შრომის ბაზარზე გავლენის კომპლექსური შეფასების მეთოდოლოგია, იცნობს ქვეყნის ადამიანური რესურსების ფორმირებისა და განაწილების კონკრეტული ვითარების შეფასების მეთოდებს;

✓ იცის შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის პრინციპები და ხელფასის დიფერენციაციის მექანიზმები, შრომის ანაზღაურების დარგში სახელმწიფო პოლიტიკა;



✓ იცნობს პროფესიული კადრების მომზადების თანამედროვე სისტემებს, მიმდინარე რეფორმებს, ამ სფეროში მსოფლიო გამოცდილებას;

✓ კარგად იცის შრომის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციონირების მთავარი პრინციპები, შრომის კანონმდებლობა, შრომისა და სოციალურ პოლიტიკის სრულყოფის დარგში საქართველოში მდგარი ამოცანები.

#### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

##### **დარგობრივი კომპეტენცია**

✓ აქვს შრომის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების სფეროში ანალიზიათვის საჭირო ინდიკატორების კომპლექსური გამოყენების უნარი;

✓ შეუძლია შრომის ბაზრის განვითარების ძირითადი პარამეტრების პროგნოზირება;

✓ შეუძლია ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების გათვალისწინებით შრომის ბაზრის ფორმირების გარე ფაქტორების (ბუნებრივი მოძრაობა, მიგრაცია) სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებაზე ზეგავლენის განსაზღვრა.

✓ შეუძლია უმუშევრობის კომპლექსური შეფასება, დასაქმების პრიორიტეტების განსაზღვრა; ეროვნულ და ლოკალურ შრომის ბაზრებზე დასაქმების სრულყოფის ღონისძიებათა დასაბუთება;

✓ შეუძლია სოციალური განვითარების მდგომარეობის კომპლექსური შეფასება, შრომის ბაზარზე სოციალური დაცვის კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავება;

✓ შეუძლია ეროვნულ და რეგიონულ შრომის ბაზრებზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნის გაანგარიშება და მიწოდების რეალიზაციის წინადადებათა დასაბუთება;

✓ შეუძლია სამუშაო ძალის პროფესიული განვითარების სისტემის სრულყოფის წინადადებათა შეფასება და დასაბუთება, პროფმომზადების კონკრეტულ პროექტებში უშუალო მონაწილეობა;

✓ შეუძლია შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის მდგომარეობის შეფასება და ხელფასის დიფერენციაციის აუცილებელი პარამეტრების დადგენა; ხელფასების პოლიტიკაში ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა; შრომის ანაზღაურების გამოყენებული ფორმებისა და სისტემების კრიტიკული შეფასება;

✓ შეუძლია შრომის ბაზრის, ხელფასების, პროფესიული განათლების, სოციალური განვითარებისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში მონაწილეობის მიღება.

##### **დასკვნის უნარი**

##### **დარგობრივი კომპეტენცია**

✓ შეუძლია შრომის ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის სფეროების ინდიკატორების ანალიზით და განზოგადებით კონკრეტული შედეგების დასაბუთება;

